

ლიტვის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი

დამტკიცებულია მოსამართლეთა საერთო კრების 12 P-8 გადაწყვეტილებით
28 ივნისი, 2006 წელი

(არაოფიციალური თარგმანი)

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კოდექსის მიზანი

ლიტვის მოსამართლეთა კოდექსი (შემდგომში - კოდექსი) ადგენს ლიტვის მოსამართლეთა ქცევის ძირითად პრინციპებს (შემდგომში - პრინციპები). კოდექსი არეგულირებს მოსამართლეთა ქცევას სამოსამართლო ვალდებულებების პირდაპირი და არაპირდაპირი შესრულების დროს.

მუხლი 2. კოდექსის მიზნები

ეს კოდექსი განსაზღვრავს სამოსამართლო ქცევის პრინციპებს, რომლებიც გამოიყენება მოსამართლის მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, როგორც მოსამართლის პირდაპირი მოვალეობების შესრულების დროს, ასევე სამსახურის გარეთ მოსამართლის საქმიანობის პროცესში, რაც ემსახურება სამართლიანობისა და ადამიანის ფუნდამენტალური ღირებულებების დაცვას, საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებას სასამართლოებისა და მოსამართლის საქმიანობისადმი და მათი ავტორიტეტის ამაღლებას.

მუხლი 3. კოდექსის მოქმედება

ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება უკლებლივ ყველა მოსამართლეზე.

მუხლი 4. კოდექსის წყაროები

კოდექსი შემუშავებულია ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის, სასამართლოების შესახებ ლიტვის კანონის, გაეროს მიერ დამტკიცებული სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული მოსამართლეთა უნივერსალური ქარტიისა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპელ მოსამართლეთა ქარტიის და სასამართლოებისა და მოსამართლეების საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესაბამისად.

თავი II

მოსამართლეთა ქცევის ძირითადი პრინციპები

მუხლი 5. მოსამართლეთა ქცევის ძირითადი პრინციპები

მოსამართლეთა ქცევის ძირითადი პრინციპებია:

- 1) პიროვნების პატივისცემა;
- 2) სახელმწიფოს პატივისცემა და ერთგულება;
- 3) სამართლიანობა და მიუკერძოებლობა;
- 4) დამოუკიდებლობა;
- 5) კონფიდენციალურობის დაცვა;
- 6) გამჭვირვალობა და საჯაროობა;
- 7) პატიოსნება და უანგარობა;
- 8) წესიერება;
- 9) სხვისთვის მაგალითის მიცემა;
- 10) პასუხისმგებლობის გრძნობა;
- 11) სოლიდარობა;
- 12) პროფესიული კვალიფიკაცია.

მუხლი 6. ადამიანის პატივისცემა

ადამიანის პატივისცემის პრინციპების შესაბამისად თითოეულმა მოსამართლემ უნდა დაიცვას შემდეგი წესები:

- 1) ადამიანის პატივისცემა, მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- 2) პატივი სცეს კანონს, და ყოველთვის იმოქმედოს ისე, როგორც შეესაბამება სამართლიანობის პრინციპებს;
- 3) ყურადღებით მოუსმინოს პროცესში ჩართულ მხარეებს, როგორც ამას მოითხოვს კანონი, გულისყურით გაეცნოს და პასუხი გასცეს მათ მოთხოვნებსა და წინადადებებს ხოლო უარის შემთხვევაში მათ არასწორ მოთხოვნებს უპასუხოს ტაქტიანად, მაგრამ იმავდროულად მოსამართლემ ზომები უნდა მიიღოს პროცესის მსვლელობისას წესრიგის დამრღვევთა მიმართ;
- 4) სხდომათა განრიგი უნდა იყოს შეთანხმებული, იგი შეიძლება შეიცვალოს საპატიო მიზეზების გამო, რაც უნდა განემარტოთ პროცესის მონაწილეებს;

5) მოვალეობების განხორციელების დროს ის პატივს ცემს ადამიანის უფლებებს და სხდომის მონაწილეთა ღირსებას, არც ერთ შემთხვევაში ის არ წახალისებს მათ დაარღვიონ კანონი და სხვა სამართლებრივი აქტები.

მუხლი 7. სახელმწიფოს პატივისცემა და ერთგულება

სახელმწიფოსადმი პატივისცემისა და ერთგულების პრინციპიდან გამომდინარე, მოსამართლე ვალდებულია დაიცვას შემდეგი წესები:

- 1) იყოს მოსამართლის ფიცის ერთგული;
- 2) იმოქმედოს კორექტულად და როგორც პოლიტიკურად ნეიტრალურმა პირმა, თავი შეიკავოს პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვისა და პოლიტიკური აქტივობისაგან;
- 3) უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ კონკრეტულ საქმეზე პირადი მოსაზრებების საჯაროდ გამოთქმა შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალურ პოზიციად;
- 4) ატაროს მოსამართლის სერტიფიკატი, მანტია, მისი მოვალეობების დამახასიათებელი სხვა ნიშნები კანონის შესაბამისად, გაუფრთხილდეს და დაიცვას ისინი.

მუხლი 8. სამართლიანობა და მიუკერძოებლობა

სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპის შესაბამისად მოსამართლემ უნდა დაიცვას შემდეგი წესები:

- 1) არ განახორციელოს დისკრიმინაცია ცალკეული პირების ან ჯგუფების, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ასაკის, რასის, რელიგიის ან მრწამსის, კანის ფერის, ეროვნების ან ეთნიკური წარმომავლობის, ოჯახური მდგომარეობის ნიშნით და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ასეთის გამოვლენის შემთხვევაში;
- 2) არ იყოს მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში და არ გამოთქვას წინასწარი აზრი საქმესთან დაკავშირებით;
- 3) არ გამოავლინოს თავისი დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება და განსაკუთრებული ყურადღება ცალკეული პირების ან ჯგუფების მიმართ, რომლებიც ჩართულები არიან საქმეში;
- 4) არ მოექცეს ხელისუფლების ან საჯარო მოხელეების, მედიის, საზოგადოების და კერძო პირების გავლენის ქვეშ;
- 5) კონფლიქტურ სიტუაციებში უნდა იმოქმედოს მიუკერძოებლად და შეეცადოს მიიღოს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება;
- 6) იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან არსებობს ინფორმაცია, რომ პირადმა გარემოებებმა შეიძლება ზიანი მიაყენოს საქმეს, მოსამართლემ უნდა გააკეთოს თვითაცილება;
- 7) არ გაუწიოს კონსულტაციები პირებს სამართლებრივ საკითხებზე, რაც არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით;

8) მოერიდოს საჯარო განცხადების გაკეთებას საქმის სავარაუდო შედეგთან დაკავშირებით, ასევე არ განიხილოს საქმე პროცესში მონაწილე მხარეებთან ერთად სასამართლო სამართალწარმოების ფარგლებს გარეთ;

9) არ იყოს წარმომადგენელი სასამართლოში, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ წარმომადგენლობა გათვალისწინებულია კანონით, აცნობოს სასამართლოს თავმჯდომარეს, თუ მოსამართლის ან მისი ოჯახის წევრების, ნათესავების საქმე განიხილება იმ სასამართლოში, სადაც ეს მოსამართლე მუშაობს, რათა გადაწყდეს საკითხი საქმის სხვა სასამართლოში გადაგზავნის შესახებ და თუ საქმე იმყოფება ლიტვის უზენაესი სასამართლოს წარმოებაში, გადაეცეს ლიტვის უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოს ან ლიტვის სააპელაციო სასამართლოს, მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზნით;

10) არ გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით საჯაროდ და მედიის წარმომადგენლების თანდასწრებით.

მუხლი 9. დამოუკიდებლობა

მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპის შესაბამისად მოსამართლემ უნდა დაიცვას შემდეგი წესები:

1) მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში პატივი სცეს სასამართლოებისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, რაც გარანტირებულია ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციით;

2) თავიდან აირიდოს ყოველგვარი უკანონო გარეშე ჩარევები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს გადაწყვეტილების მიღებისას, არ დაუშვას უკანონო ჩარევა მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში და მიიღოს ზომები ამგვარი მოქმედების აღსაკვეთად;

3) არ აიღოს თავის თავზე ვალდებულება და არ განახორციელოს საქმიანობა, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მოსამართლის ვალდებულებების განხორციელებას ან მისი, როგორც მოსამართლის ქმედებებს;

4) ვალდებულებების შესრულებისას იყოს დამოუკიდებელი და არ ჰქონდეს არანაირი პირადი ინტერესი;

5) დაიცვას საზოგადოებაში სასამართლოსა და მოსამართლის დამოუკიდებლობის იმიჯი;

6) გადაწყვეტილებების მიღებისას გაემიჯნოს და იყოს დამოუკიდებელი სხვა მოსამართლეთა ხედვისგან, რომელიც გამჟღავნებული იქნა კანონით დადგენილი პირობების დარღვევით.

მუხლი 10. კონფიდენციალურობა

კონფიდენციალურობის პრინციპის შესაბამისად მოსამართლემ უნდა დაიცვას შემდეგი წესები:

1) მკაცრად დაიცვას სახელმწიფო ან სამსახურებრივი საიდუმლოების და სხვა ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნები, რომელი ინფორმაციაც არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი. არ გამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა საქმის განხილვის პროცესში;

2) არ დაარღვიოს კანონი პიროვნების საზოგადოებრივი საქმიანობისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა საქმის განხილვის პროცესში.

მუხლი 11. გამჭირვალობა და საჯაროობა

გამჭირვალობისა და საჯაროობის პრინციპის შესაბამისად, მოსამართლე ვალდებულია დაიცვას შემდეგი წესები:

- 1) კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ის ვალდებულია უზრუნველყოს თავისი ქმედებებისა და გადაწყვეტილებების საჯაროობა, მან უნდა დაასაბუთოს ამ გადაწყვეტილებების მიღების მოტივი საჯაროდ პირადად ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საშუალებით;
- 2) თავიდან აირიდოს საჯარო და კერძო ინტერესთა კონფლიქტი;
- 3) კანონმდებლობის მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას.

მუხლი 12. პატიოსნება და უანგარობა

პატიოსნებისა და უანგარობის პრინციპების შესაბამისად, მოსამართლე ვალდებულია დაიცვას შემდეგი წესები:

- 1) უნდა მოიქცეს ისე, რომ ოჯახური, საზოგადოებრივი, სოციალური თუ სხვა სახის ურთიერთობები საზიანოდ არ მოქმედებდეს მოსამართლის პირდაპირი მოვალეობების შესრულებაზე;
- 2) არ გამოიყენოს ბოროტად თავისი სტატუსი სხვა ადამიანების გადაწყვეტილებებზე გავლენის მოსახდენად;
- 3) არ გამოიყენოს სასამართლოს ქონება და მიცემული შესაძლებლობები არასამსახურებრივი საქმიანობისთვის, ასევე თავიდან აიცილოს სახელმწიფო აქტივებისა და ფინანსების არამიზნობრივი გამოყენება სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას;
- 4) არ მოითხოვოს შეღავათები თავისთვის, თავისი ოჯახის, ნათესავების ან მეგობრებისათვის თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- 5) იყოს მოუსყიდველი, არ მიიღოს საჩუქრები, ფული, უფასო მომსახურება ან სხვა მეგობრული დახმარება, განსაკუთრებული პრივილეგიები და შეღავათები ან სხვა მომსახურება ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, თუ აღნიშნული გამოიწვევს საჯარო ან კერძო ინტერესთა კონფლიქტს, რომელიც გავლენას მოახდენს საქმის განხილვის პროცესზე;
- 6) არ მიიღოს მონაწილეობა ფინანსურ და კომერციულ საქმიანობაში, თავისი თანამდებობის გამოყენებით.

მუხლი 13. წესიერება

მოსამართლის წესიერების პრინციპიდან გამომდინარე, მოსამართლემ ვალდებულია დაიცვას შემდეგი წესები:

- 1) ჰქონდეს უმწიკვლო რეპუტაცია და გაუფრთხილდეს მას;
- 2) არ გამოიყენოს სხვა პირების შეცდომები და კანონის უცოდინარობა;

- 3) უნდა იქცეოდეს პატიოსნად, კორექტულად, თავაზიანად როგორც სამსახურში და სხვა საჯარო დაწესებულებებში, ისე პირად ცხოვრებაში;
- 4) არ უნდა შეეგუოს პიროვნების იძულებასა და დამცირებას;
- 5) არ უნდა დაამციროს საკუთარი კოლეგების საქმიანობა, მოიქცნენ მათთან და სხვა პირებთან თავაზიანად, კონფლიქტური სიტუაციები გადაწყვიტონ მშვიდობიანი გზით და თავაზიანად, არ ილაპარაკოს აბუჩად ამგდები სიტყვებით, არ შებღალოს ვინმეს ღირსება, არ გამოიყენოს ბოროტად ძალაუფლება;
- 6) თავი შეიკავოს საჯარო განცხადებების გაკეთებისაგან იმ საქმეებზე, რომლებსაც იხილავენ სხვა მოსამართლეები;
- 7) არ შელახოს სხვაგვარად თავისი ქმედებებით მოსამართლისა და სასამართლოს სახელი.

მუხლი 14. სხვებისთვის მაგალითის მიცემა

სანიმუშობის პრინციპიდან გამომდინარე მოსამართლე ვალდებულია დაიცვას შემდეგი წესები:

- 1) იყოს მაგალითის მიმცემი თავისი ქცევით, მეტყველებით, დისციპლინით, ყოფით, რომელიც შეესაბამება საყოველთაოდ დამკვიდრებულ მორალური და ეთიკური ნორმების მოთხოვნებს, არ დააკნინოს მოსამართლის სახელი პროფესიულ საქმიანობასა და პირადი ცხოვრებაში;
- 2) უნდა დაიცვას თავისი პროფესიის ღირსება და ავტორიტეტი;
- 3) უნდა იყოს მომთმენი, პუნქტუალური და სასარგებლო;
- 4) სასამართლო პროცესის მსვლელობისას არ გამოხატოს გოცება, გაბრაზება, მოერიდოს ხმის აწევას;
- 5) არ უნდა უკითხოს მორალი სამართალწარმოების მონაწილეებს სასამართლო პროცესის მსვლელობისას;
- 6) უნდა იყოს თავდაჭერილი, მომთმენი და თავაზიანი საქმის განხილვის პროცესში;
- 7) იმოქმედოს ყოველთვის პროფესიონალურად და ჰუმანურად;
- 8) აღიაროს თავისი შეცდომა და გამოასწოროს იგი;
- 9) არა აქვს ალკოჰოლის და ფსიქოტროპული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების უფლება, უფლება არა აქვს გამოიყენოს ნარკოტიკული საშუალებები სამედიცინო დანიშნულების გარეშე;
- 10) უნდა გაიუმჯობესოს მეტყველებისა და კომუნიკაციების კულტურა;
- 11) ისე უნდა მოიქცეს პირად ცხოვრებაში, რომ ზიანი არ მიაყენოს სასამართლოს ინტერესებსა და მოსამართლის რეპუტაციას.

მუხლი 15. მოვალეობები

მოვალეობების შესრულების პრინციპიდან გამომდინარე მოსამართლე ვალდებულია დაიცვას შემდეგი წესები:

- 1) არ დაარღვიოს ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები, კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები;
- 2) შეადგინოს პროცესუალური დოკუმენტები კანონის შესაბამისად და ეროვნულ ენაზე;
- 3) შეასრულოს თავისი მოვალეობები ზედმიწევნით კარგად, დროულად, პროფესიონალურად და გულმოდგინედ;
- 4) გაანალიზოს განსახილველი საქმის არსი, არ გამოიჩინოს სიჩქარე და ზედაპირულობა, მაგრამ არ გააჭიანუროს საქმის განხილვის პროცესი;
- 5) რეაგირება მოახდინოს სხვა მოსამართლეების, პროკურორების და ადვოკატების მხრიდან კანონისა და ეთიკის ნორმების დარღვევებზე.

მუხლი 16. სოლიდარობა

სოლიდარობის პრინციპის შესაბამისად მოსამართლემ ვალდებულია დაიცვას შემდეგი წესები:

- 1) მოსამართლეებს შორის ურთიერთობები დაფუძნებული უნდა იყოს ურთიერთნდობაზე, პატიოსნებაზე, ტოლერანტობაზე, სწორი განსჯის უნარსა და თავაზიანობაზე;
- 2) უნდა დაეხმარონ ერთმანეთს პროფესიულ საქმიანობაში, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებაში;
- 3) დაეხმარონ ერთმანეთს, რომ დაიცვან თავი ცილისწამების გავრცელებისაგან მედიაში, დაუმსახურებელი კრიტიკისა და პროფესიული რეპუტაციის შელახვისაგან.

მუხლი 17. პროფესიული სწავლება

კვალიფიკაციის ამაღლების პრინციპიდან გამომდინარე მოსამართლემ ვალდებულია დაიცვას შემდეგი წესები:

- 1) მუდმივად აიმაღლოს თავისი კვალიფიკაცია;
- 2) არ უნდა ეცადოს, რომ საკუთარი კარიერისთვის მიიღოს განსაკუთრებული პრივილეგიები.

თავი III

დასკვნითი დებულებები

მოსამართლეები იღებენ ვალდებულებას დაიცვან ამ კოდექსის მოთხოვნები;

მოსამართლეები ნებაყოფლობით აღიარებენ მათი სოციალური სტატუსის მოთხოვნების თავისებურებებს;

სასამართლო თვითმმართველობის ინსტიტუტებმა და სასამართლოს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა უნდა უზრუნველყონ ამ კოდექსით, სასამართლოების შესახებ კანონით,

საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით დადგენილი მორალისა და ეთიკის ნორმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ყველა მოსამართლისა და მოსამართლეობის კანდიდატისათვის;

მოსამართლეებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ სასამართლოების შესახებ ლიტვის რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

ეს კოდექსი ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

ლიტვის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი თარგმნა
საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრმა

ქეთევან ბექაურმა

2015 წელი